„ვამტკიცებ“
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ჭადრაკის ფედერაციის
პრეზიდენტი სალომე მელია

აჭარის ჩემპიონატი ჭადრაკში 7,9,11,13,15 წლამდე ასაკის ჭაბუკთა და გოგონათა შორის

ქ. ბათუმი, 1-7 თებერვალი, 2026 წ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ტურნირის ორგანიზატორი: აჭარის ჭადრაკის ფედერაცია;
ტურნირის ფინანსური მხარდამჭერი: აჭარის სპორტის დეპარტამენტი;
ჩატარების ადგილი: მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლე.
მის: ლეონიძის 15.
ჩატარების სისტემა: ჩემპიონატი ჩატარდება ფიდეს წესებით, შვეიცარული ან წრიული სისტემით 7 ტურად. აუცილებლობის შემთხვევაში ტურნირის ჩატარების სისტემას განსაზღვრავს ორგანიზატორი.
ტურნირში ფიდე-ს რეიტინგის დათვლა განისაზღვრება მონაწილეთა რეგისტრაციის დასრულების შემდეგ.
მონაწილენი: საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წევრი ჭაბუკები და გოგონები, საქართველოს მოქალაქეები აჭარის ყველა მუნიციპალიტეტიდან **დაბადებულნი 2019, 2017, 2015, 2013 და 2011 წლის 1 იანვარს და შემდეგ.**
სამივლინებო ხარჯებს გაიღებენ მიმავლინებელი ორგანიზაციები.
დროის კონტროლი: თითოეულ მონაწილეს მიეცემა 60 წუთი პარტიის ბოლომდე, თითოეულ სვლაზე 30 წამის დამატებით.
თაი-ბრეიქი: თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში გამარჯვებულები გამოვლინდებიან კოეფიციენტის შემდეგი სისტემით:

შვეიცარული ტურნირის დროს:
1. ბუჰგოლცი -1 (უდაბლესის გამოკლებით);
2. ბუჰგოლცი;
3. ურთიერთშორის შეხვედრა;
4. მოგებების რაოდენობა;
5. პროგრესი (რეგრესით).

წრიული ტურნირის დროს:
1. ურთიერთშორის შეხვედრა;
2. მოგებების მეტი რაოდენობა;
3. ზონებორნ-ბერგერის კოეფიციენტი;
4. თუ ყველა მაჩვენებელი თანაბარია, ფიდეს წესების მიხედვით ჩატარდება დამატებითი მატჩები.

რეგისტრაცია:
მონაწილეებმა რეგისტრაციისთვის უნდა შეავსონ შემდეგი ანკეტა:
https://forms.gle/S3JySXUzmp2U2ECt9

რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2026 წლის 31 იანვარი, 19.00 საათი.

რეგისტრაციის ბოლო ვადის დარღვევის შემთხვევაში ორგანიზატორს უფლება აქვს არ დაარეგისტრიროს მოჭადრაკე, რომელმაც დაარღვია რეგისტრაციის ვადები.

ჩემპიონატში მონაწილეობისათვის მოჭადრაკეებმა უნდა გადაიხადონ ფედერაციის წლიური საწევრო შესატანი საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საბანკო ანგარიშზე: სს საქართველოს ბანკი GE30BG0000000584705115

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წევრმა და გაწევრიანების მსურველმა 18 წლამდე ასაკის პირებმა უნდა შეავსონ ელექტრონული სარეგისტრაციო ფორმა –
https://forms.gle/m2GjMRs6FzbMYei3A
ატვირთონ შესაბამისი დოკუმენტები (პასპორტის, პირადობის ან დაბადების მოწმობის ასლი, წლიური საწევრო თანხის გადახდის ქვითარი).

ტურნირის განრიგი:

ჩამოსვლის დღე	31 იანვარი	
ტურნირის გახსნა	1 თებერვალი	13:30 სთ.
I ტური	1 თებერვალი	14:00 სთ.
II ტური	2 თებერვალი	14:00 სთ.
III ტური	3 თებერვალი	14:00 სთ.
IV ტური	4 თებერვალი	14:00 სთ.
V ტური	5 თებერვალი	14:00 სთ.
VI ტური	6 თებერვალი	14:00 სთ.
VII ტური	7 თებერვალი	14:00 სთ.
ტურნირის დახურვა	7 თებერვალი	17:30 სთ.

საერთო წესები:
ტურის დაწყებიდან საათზე დროის ამოწურვის შემთხვევაში მონაწილეს ჩაეთვლება წაგება.

ნებისმიერ მონაწილეს უფლება აქვს გაასაჩივროს მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილება სააპელაციო კომიტეტში, რომელიც არჩეული იქნება აჭარის ჩემპიონატის გახსნის ცერემონიაზე.
მონაწილე ვალდებულია წერილობით პროტესტთან ერთად აჭარის ჭადრაკის ფედერაციაში გადაიხადოს 50 ლარი, რომელიც პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში უკან დაუბრუნდება.

გამარჯვებულები: - I, II, III საპრიზო ადგილზე გასული მოჭადრაკეები, დასახელდებიან აჭარის ნაკრების წევრებად და დაჯილდოვდებიან მედლებითა და დიპლომებით, ხოლო აჭარის ჩემპიონი აგრეთვე თასით და მივლინებული იქნება შესაბამისი ასაკის 2026 წლის საქართველოს ჩემპიონატზე.

არასაპატიო მიზეზით ტურნირის მიტოვების შემთხვევაში მონაწილე დისკვალიფიცირებული იქნება საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის ბრძანების (#10. 20/01/2014 წ.) შესაბამისად.

ტურნირის დირექტორი: საერთაშორისო დიდოსტატი სალომე მელია
ტურნირის მთავარი მსაჯი: ეროვნული არბიტრი ალექსი ტერ-კარაპეტიანი